საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 07 ივლისი 2016 წ.

ბრძანება №01-08/44

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის
შიდა და გარე მობილობის ვაკანტური ადგილებისა და მობილობის
საუნივერსიტეტო კომისიის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“-ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 05 ივლისის № 566 ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, ხელოვნების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 მუხლისა და ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 მაისის № 04-01/27 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის ვაკანტური ადგილები, თანახმად დანართისა.

2. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა და გარე მობილობის ვადები:

- პროცედურული ვადები:
- დოკუმენტაციის მიღება - 19 აგვისტოდან - 31 აგვისტოს ჩათვლით;
- უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება - 01 სექტემბრიდან 05 სექტემბრის ჩათვლით;
- ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 06 სექტემბრიდან 08 სექტემბრამდე.

3. შიდა და გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მიმართოს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს და წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება (განცხადება ივსევბა ადგილზე);
- სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;

- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი;

- მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

4. საშემსრულებლო მიმართულებით, 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის მსურველთათვის შემოქმედებითი ტური ჩატარდეს 2016 წლის 05 სექტემბერს 12.00 საათზე.

5. თეორიული მიმართულებით გამოცდა დაინიშნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად.

6. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის საუნივერსიტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქეთევან ვაჩეიშვილი - კომისიის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ხარჩილავა - კომისიის წევრი, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

მამუკა ჯორბენაძე - კომისიის წევრი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

ლალი ჭელიძე - კომისიის წევრი, მუსიკის ფაკულეტეტის დეკანი;

მაია ჭიჭილეიშვილი - კომისიის წევრი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნატო ცქვიტინიძე - კომისიის წევრი, სტუდენტთა მომსახურების განყოფილების უფროსი.

7. დაევალოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს სტუდენტთა გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის შესაბამისი დასკვნების მომზადება და საუნივერსიტეტო კომისიაში წარდგენა არაუგვიანეს 2016 წლის 07 სექტემბრისა.

8. დაევალოს საქმის წარმოების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება.

9. დაევალოს სტუდენტთა მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანებისა და მობილობის წესის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 4).

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ე. მესხია

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2016 წლის 07ივლისის № 01-08/44 ბრძანების
დანართი

ხელოვნების უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა და გარე მობილობის ვაკანტური ადგილები

№	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა	
		გარე	შიდა
	სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების (ბაკალავრიატი)		
1	დიზაინი (სამოსის დიზაინი)	3	-
2	აუდიოვიზუალური ხელოვნება (ტელერეჟისურა)	2	-
	მუსიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო)	3	-
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა)	3	-
2	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი	8	3
3	კულტურული ტურიზმი	5	2
4	მასობრივი კომუნიკაცია-ტელერადიოჟურნალისტიკა	3	-

სწორია: